

ლარის კურსის გაუფასურების ძირითადი მიზეზები

ფოფხაძე გიორგი – ასოცირებული პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

The Main Reasons for the Depreciation of GEL Exchange Rate

Popkhadze George – Associate Professor, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: The present economic and social situation of the depreciation of the exchange rate has been developed in connection with the proposals and recommendations, which is essential to achieving a solution to this problem and the real exchange rate

Research methodology: Exchange rate determination process, special attention is paid to the methods that are directly related to this issue. Existing and potential problems in time to be identified. Four pre-diagnostic tool is of particular importance, which should be reinforced and the statistics of the experts' suggestions.

Results and implications: Economic growth, which at present it is necessary to have a better exchange to get more active, taking into account the proposals, which are presented in this paper. The result will have a positive impact. The paper presents a brief overview of the GEL exchange rate factors.

Conclusion: Strengthening of the GEL acts as an internal and external. Finally, some of these factors mivhqavart conclusion. More than a dollar to enter the country is going through. In this respect, the paper presents suggestions and recommendations and also to determine the exchange rate for the calculation of the conditional analysis of internal and external factors.

Keywords: exchange gel, investment, import, export, transfer of deposit

მესავალი და მიზანი: დღევანდელი ეკონომიკური და სოციალური ვითარების გათვალისწინებით ლარის კურსის გაუფასურებასთან დაკავშირებით შემუშავებული იქნა წინადადებები და რეკომენდაციები, რაც მნიშვნელოვანია აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად და რეალური კურსის მისაღწევად.

კვლევის მეთოდოლოგია: ლარის კურსის განსაზღვრის პროცესში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მეთოდები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია აღნიშნულ საკითხთან. არსებული და პოტენციური პრობლემები დროულად უნდა იქნას გამოვლენილი. სადაც წინასწარ დიაგნოსტიკურ მექანიზმს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომელიც გამაგრებული უნდა იყოს ექსპერტთა წინადადებებითა და სტატისტიკური მონაცემებით.

შედეგები და გამოყენება: ეკონომიკური ზრდის პირობებში, რომელიც დღეისათვის გვაქვს აუცილებელია მეტი გააქტიურება უკეთესი ვალუტის მისაღებად იმ წინადადებების გათვალისწინებით, რომელიც ნაშრომშია წარმოდგენილი. შედეგზე აუცილებლად დადებითად იმოქმედებს. ნაშრომში წარმოდგენილია ლარის კურსზე მოქმედი ფაქტორების მოკლე მიმოხილვა.

დასკვნა: ლარის კურსის გამყარებაზე მოქმედებს როგორც შიგა ისე გარე. საბოლოოდ კი ამ ფაქტორებს მივყავართ გარკვეულ დასკვნამდე. ქვეყანაში მეტი დოლარი უნდა შემოვიდეს ვიდრე გადის. ამ საკითხთან დაკავშირებით ნაშრომში წარმოდგენილია შესაბამისი წინადადებები და რეკომენდაციები და ასევე ლარის კურსის განსაზღვრაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების გაანგარიშების პირობითი ანალიზი.

საკვანძო სიტყვები: ლარის კურსი, ინვესტიცია, იმპორტი, ექსპორტი, სადეპოზიტო გზავნილები

სავალუტო კურსის თემა დღევანდელი არსებული ვითარების გამო აქტუალობას არ კარგავს. ამ დროს უმნიშვნელოვანესია თითოეულ ქვეყანას როგორ აქვს დარეგულირებული მსოფლიო მეურნეობაში წარმოებითი ურთიერთობები, მისი ფუნქციონალური როლი იმაში მდგომარეობს, რომ უზრუნველყოს საერთაშორისო ექვივალენტური გაცვლა. რაც საბოლოოდ სავალუტო ურთიერთობებს

წარმოადგენს, რომელიც მყარდება სავალუტო ბაზარზე (ყოველდღიური კავშირებით), კერძოს პირებსა, ფირმებსა, ბანკებსა და სხვა სუბიექტებს შორის, საერთაშორისო ანგარიშსწორების, საკრედიტო და სავალუტო ოპერაციების განხორციელების მიზნით.

მე-20-ე საუკუნის ბოლოდროინდელ პერიოდში სავალუტო ურთიერთობებთან დაკავშირებით მრავალი მოსაზრება იყო გამოთქმული მეცნიერ-ეკონომისტების მიერ თითქმის ის გაიგივებულია კაპიტალიზმის ფულად სისტემასთან, სადაც იდენტურია როგორც შიდა ეროვნული, ისე საერთაშორისო ფულადი ურთიერთობები და სხვა.

ბოლოდროინდელ პერიოდში ფართოდაა გავრცელებული აზრი, რომლის მიხედვითაც სავალუტო სისტემა გამოიყოფა დამოუკიდებელ კატეგორიად, ეს კი საფუძველს გვაძლევს განვასხვავოთ ერთმანეთისაგან „სავალუტო პოლიტიკა“, „სავალუტო სისტემა“ და „სავალუტო ურთიერთობა“.

სავალუტო პოლიტიკა - ეს არის იმ ეკონომიკურ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებსაც ახორციელებს სახელმწიფო ორგანიზაციები და სახელმწიფოთაშორისო დაწესებულებები, მათ მიერ შემუშავებული მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე.

სავალუტო ურთიერთობანი ეს არის ეკონომიკური ურთიერთობანი, რომლებიც დაკავშირებულია მსოფლიო ფულის ფუნქციონირებასთან და ემსახურება ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობას, კაპიტალის გატანას, სესხების გაცემას, ტურიზმს და სხვ.

სავალუტო სისტემა - მსოფლიოს მეურნეობის მიმდინარე საერთაშორისო საგადასახდელო-საანგარიშსწორებო ოპერაციების გამასაშუალებელი საშუალებაა, როგორც ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ორგანული ნაწილი.

საქართველოში დღევანდელი მიმდინარე ეკონომიკური პროცესების ფონზე ლარის კურსი - ფრაზა, რომელსაც ყველა პროფესიის წარმომადგენელი ყველაზე ხშირად ახსენებს, უდავოდ აქტუალურია და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე. სწორედ დღეს, ყველაზე ხშირად, ლარის კურსის ცვლილებების მიზეზებზე და პროგნოზებზეა საუბარი. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სანამ სიღრმისეულად გავაკეთებთ ანალიზს, ერთ რამეზე ყველა თანხმდება, კერძოდ, ძირითადი მიზეზი ეს არის ქვეყანაში შედარებით მცირე დოლარის შემოდინება, ვიდრე ის ქვეყნიდან გადის. ხოლო საბოლოო კურსის განსაზღვრა ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის 2009 წლის 22 მაისის № 6 დადგენილების საფუძველზე, სადაც აშშ დოლარის მიმართ ლარის ოფიციალური კურსის გაანგარიშება ხდება ყოველ სამუშაო საბანკო დღეს, წინა სამუშაო საბანკო დღის 16:30 საათიდან გაანგარიშების დღის 16:30 საათამდე პერიოდში, ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში რეგისტრირებული გარიგებების გათვალისწინებით, ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებული გარიგებების შედეგად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული ბაზარი ძალიან მცირე მოცულობისაა და ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ამინდს ქმნის 4-5 ბანკი, რომლის მიხედვითაც ბანკების გარიგებების მიხედვით გაანგარიშებული კურსი არის ერთგვარი განმსაზღვრელი მთელი დანარჩენი ეკონომიკისათვის, არადა, ყოველწლიურად სავალუტო ბაზარზე მნიშვნელოვნად მეტი სავალუტო გარიგებები დგება. სწორედ მთლიანი გარიგებების მოცულობით უნდა განისაზღვროდეს ლარის კურსი, სადაც თავისთავად გათვალისწინებული იქნება ეროვნული ბანკის ინტერვენციები. აქედან გამომდინარე, ლარის კურსის განმსაზღვრელი უნდა იყოს ბაზარი და ეკონომიკური ურთიერთობები და არამედ ბანკები, რაც უფრო მეტი გარიგების „შედევრი“ იქნება ლარის გაცვლითი კურსი (რომელიც უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა-მიწოდებას უკავშირდება), მით უფრო ნაკლები იქნება სპეკულაციის რისკი და ლარი დამოკიდებული იქნება მხოლოდ რეალურ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. და არა გარკვეულ მის მცირე ნაწილზე.

საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურა ბოლო 15 წლის მანძილზე არ შეცვლილა. მხედველობაში გვაქვს უცხოური ვალუტის მოზიდვა ექსპორტის და სხვა წყაროების გაზრდის გზით. სავაჭრო ბალანსი რჩება კვლავ დეფიციტური. წლებია საქართველოს გააჩნია უარყოფითი საექსპორტო სალდო, ხოლო ინვესტიციების, სადეპოზიტო გზავნილების, ტურიზმის გრანტების და საერთაშორისო კრედიტებით მიღებული უცხოური ვალუტა, მხოლოდ და მხოლოდ აბათილებს ქვეყნიდან გადინებულ უცხოურ ვალუტას, ანუ რა მოცულობის უცხოური ვალუტა შემოდის იმდენივე გადის ან იმაზე მეტი, რაც

თავისთავად უარყოფითად მოქმედებს ლარის კურსის მდგრადობაზე. ლარის კურსის გაუფასურებაზე. რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჩამოვყალიბოთ, რომელიც ზემოთაღნიშნულ საკითხთან არის დაკავშირებული, მაგრამ დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით ლარის გაუფასურების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს უცხოური ვალუების გადახდა დიდი მოცულობით. რამაც საძირკველი გამოაცალა ლარის კურსის მდგრადობას. ისმის კითხვა, თუ როგორ შეიძლება ლარის კურსის გამყარება. აქ პასუხი ერთია მეტი დოლარი უნდა შემოვიდეს ქვეყანაში ვიდრე გადის. ეს კი შეიძლება განხორციელდეს ორი მიმართულებით: პირველი, ისევე მოზიდული იქნას საგარეო კრედიტები და მეორე ეროვნული ვალუტის გამყარება მოხდეს ეკონომიკური გზით, რომელიც დღესდღეობით მიუღწევადია ჩვენი ქვეყნისათვის. ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ნიკო ნიკოლაძე XX საუკუნის დასაწყისში ამბობდა: „ქვეყანა მაშინ იქნება დამოუკიდებელი და თავისუფალი, როდესაც გასაზიდი მეტი ექნება ვიდრე შემოსაზიდი“. აქ ყველაფერია ნათქვამი. დღეისათვის საქართველოს ეკონომიკის გაუმჯობესების და ლარის კურსის გამყარების უალტერნატივო გზა სწორედ ეს არის (მოვიზიდოთ მეტი უცხოური ვალუტა ეკონომიკის ზრდის ხარჯზე) სხვა გზა ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელია.

ლარის კურსის გამყარების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეროვნულ ბანკს. ეროვნულმა ბანკმა უნდა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები, მაგრამ ეს უნდა იყოს დროული და ეფექტური, ის, რომ ეროვნულ ბანკს შეუძლია ერთხელ და საბოლოოდ გადაჭრას ლარის კურსის გაუფასურების პრობლემა. ეს მხოლოდ ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნება, რადგან ეროვნულ ბანკს გააჩნია მკაცრად ლიმიტირებული სავალუტო რეზერვი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკის განვითარების პროცესს შეუწყობს ხელს და ეროვნულ-ვალუტის დროებით გაუფასურებაზე შეიძლება დადებითად იმოქმედოს. ეროვნული ბანკის რეზერვები საკმარისი არ იქნება იმისათვის, რომ საბოლოო გადაჭრათ ეს საკითხი. წარმოვიდგინოთ, რომ ავადმყოფი, რომელიც საწოლზე წევს მას თავთან უდევს ერთი ბოთლი წამალი, რამდენიმეჯერ მოსმის შემდეგ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ საბოლოოდ ეს ბოთლი დაიცალა (ანუ მკაცრად ლიმიტირებული რეზერვები ამოიწურა) იმისათვის, რომ ეს პრობლემა მოგვარდეს პასუხი მარტივია. ქვეყანაში უნდა იყოს უცხოური ვალუტის მუდმივი შემოდინება და შედარებით ნაკლების გადინება. ეროვნული ბანკი, როგორც ვიცით, განსაზღვრავს ლარის ოფიციალურ გაცვლით კურსს სავაჭრო სისტემაში გასაანგარიშებელი პერიოდის განმავლობაში ბანკთაშორის დადებულ სპოტ გარიგების საფუძველზე, საიდანაც გამოითვლება საშუალო შეწონილი კურსი. გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის მიღების წყაროს წარმოადგენს „როიტერის“, „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნის ცენტრალური ბანკების ვებგვერდები. დღეისათვის, ქვეყანაში არსებული ვითარების გათვალისწინებით, სასურველი იქნებოდა ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ლარის გაცვლით კურსზე ინფორმაცია შედარებით ხელმისაწვდომი და საჯარო იყოს, რაც თავისთავად გამორიცხავდა დამატებით შეკითხვებს აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ლარის კურსის განსაზღვრა ეს არ მიეკუთვნება კომერციულ საიდუმლოს, ის არის ქვეყნისათვის მისი ეკონომიკური შემდგომი განვითარებისათვის ერთ-ერთი უმთავრესი და სასიცოცხლო მნიშვნელობის მაჩვენებელი განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისათვის, სადაც იმპორტის მაჩვენებელს, რომელიც ქვეყნიდან დოლარების გადინებასთანაა დაკავშირებული უპირისპირდება და ამ შემთხვევაში ექსპორტის გვერდში უდგას სადეპოზიტო გზავნილები, ტურიზმთან შემოსულები, ინვესტიციები, გრანტები და საერთაშორისო კრედიტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება პირობითად მიახლოებით გავიანგარიშოთ ლარის გაცვლითი კურსის მიახლოებითი მაჩვენებელი ქვეყნის საგარეო და საშინაო ფაქტორების მიხედვით (სტატისტიკური მონაცემების გარეშე).

პირობითი გაანგარიშების ცხრილში (იხ. ცხრილი) ასახული მონაცემების საფუძველზე ლარის გაცვლითი კურსი შესაბამისი დროული კომპლექსური ღონისძიებების გატარების შემთხვევაში იქნებოდა 1,99-დან 2,10 ლარამდე.

გაანგარიშების ცხრილი

ცხრილი 1.
ათ. დოლარი

№	მაჩვენებელი	საბაზისო მონაცემები	უცხოური ვალუტის შემოდინება ფაქტიურად	გადახრა საბაზისო მონაცემები (+/-)	ფაქტორები %-ში		ფაქტორები ერთეულში		ფაქტორები თანხებში	
					შიდა	გარე	შიდა	გარე	შიდა	გარე
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	სადეპოზიტო გზავნილები	100,0	70	-30	-	100	-	1,0	-	30,0
2	ტურიზმიდან შემოსავლები	90,0	80	-10	50	50	0,5	0,5	5,0	5,0
3	ექსპორტი	400,0	350	-50	100	-	1,0	-	50,0	-
4	ინვესტიციები	300,0	250	-50	50	50	0,5	0,5	25,0	25,0
5	საერთაშორისო გრანტები	40,0	30	-10	50	50	0,5	0,5	5,0	5,0
6	საერთაშორისო კრედიტები	70,0	50	-20	50	50	0,5	0,5	10,0	10,0
		1000	830	170			3	3	95	75

შენიშვნა: 1000,0 ათ. დოლარის შემოდინება საბაზისო მონაცემებით, როდესაც კურსი იყო 1 აშშ = 1,70 ლარი

ასეთი შუალედი პირობითია, რადგან ის მოკლებულია სტატისტიკურ მონაცემებს, თუმცა დეტალური ეკონომიკური ანალიზისა და რეალური მაჩვენებლების მიხედვით ლარის გაცვლითი კურსი მიახლოებითი სიზუსტით ამ შუალედში იქნება.

ლარის კურსის გაუფასურებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედა მოსახლეობაში გარვცელებულმა „პანიკამ“, რის შედეგადაც მოქალაქეების და ბიზნესმენების მიერ ლარის დანაზოგით შესყიდული იქნა უცხოური ვალუტა, რამაც აშშ დოლარზე გაზარდა მოთხოვნა და შესაბამისად გააუფასურა ლარის გაცვლითი კურსი. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა 2014 წლის ბოლოს, მან მნიშვნელოვნად გააუფასურა ლარის გაცვლითი კურსი.

ამრიგად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით აუცილებელია გაიზარდოს პირველ რიგში საექსპორტო პროდუქცია, და შემდგომ შესაბამისად, ინვესტიციები, ტურიზმიდან შემოსავლები და ა.შ. რაც მნიშვნელოვნად გაამყარებს ეროვნული ვალუტის გაცვლით კურსს, რასაც დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც საბოლოოდ დადებითად იმოქმედებს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გაუმჯობესებაზე.

- 1) ცხრილიდან (ცხრილი 1.) ჩანს, რომ დოლარის შემოსვლა საბაზისო მონაცემებთან შედარებით შემცირდა 170,0 ათ. აშშ დოლარით. აქედან შიდა ფაქტორის გათვალისწინებით 95,0 ათ. აშშ დოლარი და გარე ფაქტორის გათვალისწინებით 75,0 ათ. აშშ ლარი.
- 2) 170,0 ათ. აშშ დოლარის 55,9%-არის 95,0 ათ. აშშ დოლარი (შიდა ფაქტორი).
- 3) 170,0 ათ. აშშ დოლარის 44,1%-არის 75,0 ათ. აშშ დოლარი (გარე ფაქტორი).
- 4) ლარის გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლართან მიმართებაში დღეს არის 2,36 ლარი.
- 5) საბაზისო მონაცემებთან შედარებით ლარი გაუფასურდა 0,66 (2,36-1,70) თეთრი.
- 6) 66 თეთრიდან 37 თეთრი არის შიდა ფაქტორის ხვედრითი წილი (66-ის 55, 9%-ი).
- 7) 66 თეთრიდან 29 თეთრი არის გარე ფაქტორების ხვედრითი წილი (66-ის 41%-ი).
- 8) ე.ი. 37 თეთრი არის შიდა ფაქტორის გავლენის შედეგი.
- 9) დღევანდელი კურსის მიხედვით 2,36 ლარი - 0,37 ლარი = 1,99 ლარი.